კონფიდენციალური
XX-XX-XXXX

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები
სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება #XXXXXXXXX

სესხის საპროცენტო განაკვეთი
* საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
* წლიური საპროცენტო განაკვეთი: X%
* ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: X%

ფინანსური ხარჯები
* ყოველთვიური შენატანები (პროცენტი): X ლარი
* ვადის ბოლოს შენატანი (ძირითადი თანხა+პროცენტი) (პროლონგაციის არსებობისას, მის გარეშე): X ლარი

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია
* სესხის ძირითადი თანხის (ლიმიტის) ოდენობა: X ლარი
* მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: X ლარი
* სესხის ვადა: XX-XX-XXXX
* სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადა: XX-XX-XXXX
* წინსწრებით დაფარვის საკომისიო შეადგენს გადახდის მომენტში სესხის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის: 2%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი; 1%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა; 0.5%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე ვადა; 0%-ს, თუ სესხის ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა.
* პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე: ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაცილებული ძირი თანხის X%. იმავდროულად დასარიცხი პირგასამტეხლოს დღიურმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ნარჩენი ძირის 0.27%-ს, ხოლო ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამურმა მოცულობამ - მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.
* ვადაგადაცილების შესაბამისი ოდენობის დღეების დაფიქსირებისას, სარეალიზაციოდ გაგზავნილი გირავნობის საგნის მსესხებლისათვის / დამგირავებლისათვის უკან დაბრუნების ადმინისტრაციული გადასახდელი: X ლარი.

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინებით. ხოლო ისეთი ცვლილების განხორციელებისას, რაც არ იწვევს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებას, მსესხებლის ინფორმირება განხორციელდება ცვლილებამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.

* ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სესხთან დაკავშირებული სასესხო მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ წინამდებარე სესხის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების გზით) განხორციელებით.
* მომხმარებელს (მსესხებელ(ებ)ს) უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია გამსესხებლის ამლ და შესაბამისობის დეპარტამენტში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით (ელ. ფოსტაზე - Complaint@crystal.ge).

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - 0322406406.

“გამსესხებელი“ **"მსესხებელი/წარმომადგენელი"**

წარმომადგენელი: _____ _____

იდენტიფიკაციის შემსრულებელი: _____ / ხელმოწერა /

კონფიდენციალური
XX-XX-XXXX

სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება #XXXXXXXXXX

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 **გამსესხებელი -** სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრისტალი"; საიდენტიფიკაციო კოდი: 212896570; იურიდიული მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა #22; ფაქტობრივი მისამართი: XXXXX

1.2 **მსესხებელი** - XXX XXXX, იურიდიული მისამართი: XXX ფაქტობრივი მისამართი: XXX, პირადი ნომერი: XXXXXXXXXXX, დაბადების თარიღი: XX-XX-XXXX, მობილური ტელეფონის ნომერი: XXX XX XX XX,

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი
2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გამსესხებელი გასცემს მსესხებელზე სესხს, ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას დროულად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და ამავე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილებით (თავსართი, დანართ(ებ)ი) გამსესხებლის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები.

3. ძირითადი პირობები:
3.1 სესხის მნიშვნელოვან პირობებთან (თავსართი) ერთად ასევე განისაზღვრება შემდეგი პირობები:
3.1.1 სესხის ძირითადი თანხის (ლიმიტის) ფარგლებში ათვისებული თანხის ოდენობა: X ლარი
3.1.2 სესხის დაფარვის ვადა/თარიღი: XX-XX-XXXX
3.1.3 სხვა პირობები:
3.1.3.1 სესხის დაფარვის თარიღში ან სესხის ვადის გასვლის შემდეგ მაქსიმუმ გირავნობის საგნის რეალიზაციამდე, ასევე სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში მსესხებლის მიერ გამსესხებლის ფილიალში გაკეთებული განაცხადის საფუძველზე, დარიცხული პროცენტის, ხოლო არსებობის შემთხვევაში დარიცხული პირგასამტეხლოს სრულად დაფარვის შემთხვევაში ითვლება რომ მსესხებელი გამოხატავს წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გაგრძელების (პროლონგაცია) სურვილს X კალენდარული თვის ვადით, რომელიც აითვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის ვადის გასვლიდან და შესაბამისად სესხის დაფარვის თარიღი გადაიწევს ავტომატურად. თუ აღნიშნული გაგრძელებული ვადის გასვლის ბოლო დღე დაემთხვევა არასამუშაო დღეს, ხელშეკრულება გაგრძელებულად ითვლება მომდევნო სამუშაო დღემდე. გამსესხებელი/მოგირავნე იტოვებს უფლებას არ დაეთანხმოს ვადის გაგრძელებას. წინამდებარე ქვეპუნქტის დანაწესი არ ვრცელდება სესხზე დაფარვის გრაფიკის არსებობის შემთხვევაში.
3.1.3.2 მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა ვალიდურია იმ შემთხვევაში, თუ სესხის გადახდა ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მიხედვით, პროლონგაციის გარეშე.
3.1.3.3 პროცენტის დარიცხვა ხორციელდება ყოველდღიური დარიცხვის მეთოდით, შესაბამისად პროლონგაციისას ან სესხის/დარიცხული პროცენტის ვადაზე ადრე ან დაგვიანებით გადახდისას წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შენატანის ოდენობები შესაძლებელია იყოს განსხვავებული - მეტი ან ნაკლები.
3.1.3.4 სესხის დაფარვის თანმიმდევრობა არის შემდეგი: სესხის გაცემის ადმინისტრაციული გადასახდელი / სხვა საკომისიო(ები), ასეთის არსებობის შემთხვევაში; პირგასამტეხლო (ასეთი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში), დარიცხული საპროცენტო სარგებელი, სადაზღვევო ხარჯი, სესხის ძირითადი თანხა.
3.1.3.5 თუ მსესხებელს/დამგირავებელს აქვს რამოდენიმე შესასრულებელი სასესხო ვალდებულება, ხოლო მისი მხრიდან გადახდილი თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულების სრულად შესასრულებლად, მსესხებელი უფლებამოსილია თვითონ განსაზღვროს/დააფიქსიროს ვალდებულებების დაფარვის რიგითობა, რაც შეუძლია განახორციელოს სესხ(ებ)ის დასაფარი თანხის გადახდისას გამსესესხებლის საფილიალო ქსელში, სპეციალურ განაცხადზე ხელმოწერით. თუ მსესხებელი არ ისარგებლებს

აღნიშნული უფლებით, გამსესხებელს ენიჭება უფლებამოსილება თავად განსაზღვროს მსესხებლის ვალდებულებების შესრულების რიგითობა (პრიორიტეტულობა), ანუ ცალმხრივად გადაწყვიტოს, თუ რა ოდენობით და რომელ პროდუქტთან დაკავშირებული დავალიანება დაიფაროს მსესხებლის მიერ ნაღდი თუ უნაღდო ანგარიშსწორებით გადახდილი თანხ(ებ)ით.

3.1.3.6 მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი არხის მეშვეობით სესხის წინსწრებით (ნაწილობრივ ან სრულად) დასაფარად თანხის გადახდისას გამსესხებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახდენს სესხის წინსწრებით დაფარვას, თუ მსესხებელი წერილობითი განცხადებით მიმართავს გამსესხებელს. მსესხებლისთვის ცნობილია, რომ ზეპირი განაცხადი არ ჩაითვლება სათანადო წესით გაკეთებულ მოთხოვნად, შესაბამისად პროცენტის დარიცხვა გაგრძელდება მოქმედი გრაფიკის მიხედვით, შემცირებულ ძირითად თანხაზე და პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში გამსესხებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.

3.2 ხელშეკრულების უზრუნველყოფა:

3.2.1 წინამდებარე ხელშეკრულება უზრუნველყოფილია მსესხებლის/დამგირავებლის საკუთრებაში არსებული ძვირფასი ლითონების (ოქროს) ნივთებით (გირავნობის საგანი), რომლ(ებ)ის ჩამონათვალი და ღირებულება მოცემულია გამსესხებელ/მოგირავნესა დამსესხებელს/დამგირავებელს შორის გაფორმებულ შეფასებისა და მიღება-ჩაბარების აქტში. აღნიშნული აქტი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

3.2.2 მსესხებელი გირავნობის უფლების წარმოშობისთვის გამსესხებელი/მოგირავნეს მფლობელობაში გადასცემს წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებულ ნივთებს. ძვირფასი ლითონის ნივთები უზრუნველყოფაში მიიღება როგორც მასალა და არ განიხილება როგორც ნაკეთობა. გირავნობის საგნის შემადგენლობაში არსებული ძვირფასი ქვების შეფასება გამსესხებელ/მოგირავნის მიერ არ წარმოებს, შესაბამისად მათზე პასუხისმგებელი მოგირავნე არ იქნება.

3.2.3 გამსესხებელი/მოგირავნე იტოვებს უფლებას სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, განახორციელოს გირავნობის საგნის ღირებულების შემცირება, აღნიშნულის შესახებ შეტყობინება ეგზავნება მსესხებელს/დამგირავებელს, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკომუნიკაციო არხით, ხოლო მსესხებელი/დამგირავებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში დაფაროს სხვაობა მიღებულ სესხსა და გირავნობის საგნის შემცირებულ ღირებულებას შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში გამსესხებელი/მოგირავნე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვნა დაიკმაყოფილოს გირავნობის საგნის რეალიზაციის ხარჯზე ამავე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

3.2.4 სესხის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვისას, გამსესხებელი დაუბრუნებს მსესხებელს/დამგირავებელს (სრულად ან ნაწილობრივ) შესაბამისი ღირებულების გირავნობის საგანს არაუადრეს მომდევნო სამუშაო დღისა ან/და მსესხებელთან შეთანხმებულ ვადაში. გირავნობის საგნის ნაწილობრივი დაბრუნება არ მოქმედებს სესხის გრაფიკის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიხედვით დაფარვისას.

4. უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილება

4.1 სესხის დაფარვის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მოგირავნე უფლებამოსილია გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად მიიღოს დაკმაყოფილება.

4.2 აღნიშნული უფლების განსახორციელებლად, მოგირავნე ვალდებულია დამგირავებელს წერილობითი ფორმით შეთანხმებული საკომუნიკაციო არხის მეშვეობით შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე გირავნობის საგნის რეალიზაციამდე 14 (თოთხმეტი) დღით ადრე, შეტყობინების დროისათვის არსებული შესასრულებელი მოთხოვნის ოდენობის მითითებით. იმავდროულად რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს მითითებული წინასწარი შეტყობინების გარეშეც, თუ არსებობს გირავნობის საგნის საბაზრო ან საბირჟო ფასის დაცემის რეალური საფრთხე.

4.3 მოგირავნე უფლებამოსილია უშუალოდ მოახდინოს გირავნობის საგნის რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის ფორმით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 მხარეები ვალდებულნი არიან:

5.1.1 დაიცვან კონფიდენციალურობა და უზრუნველყონ პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების გარანტიები. იმავდროულად, უზრუნველყოფის მიმწოდებლისათვის, კონფიდენციალურობის დარღვევად არ განიხილება მსესხებელი იურიდიული პირის შემთხვევაში

მისი პარტნიორისათვის წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დამუშავებული ინფორმაციის გაცემა;
5.1.2 მათი საქმიანობით არ მიაყენონ ნეგატიური გავლენა ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოს;
5.2 მსესხებელი თანახმაა და იღებს ვალდებულებას, რომ:
5.2.1 მის რეკვიზიტებში მითითებული მობილური ტელეფონის ნომერი გამოყენებულ იქნას გამსესხებლის მიერ მასთან დასაკავშირებლად ან/და ტექსტური ინფორმაციის (მათ შორის, დავალიანების/გირავნობის საგნის მოსალოდნელი რეალიზაციის თაობაზე ინფორმაციის) მისაწოდებლად.
5.2.2 მსესხებელი მობილური ნომრის ცვლილებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობებს გამსესხებელ სახალ ნომერს, წინააღმდეგ შემთხვევაში გამსესხებელი უფლებას იტოვებს აღნიშნული ნომრის სხვა მომხმარებელზე დუბლირებისას, ამ მომხმარებელთან ნომრის ვერიფიცირების შემდეგ, ამოშალოს მსესხებლის მონაცემებიდან დუბლირებული ტელეფონის ნომერი.
5.2.3. დუბლირებისას მსესხებლის მონაცემებიდან ტელეფონის ნომრის ამოშლის შემთხვევაში, გამსესხებელი თავისუფლდება მსესხებლისათვის სავალდებულოდ მისაწოდებელი ინფორმაციის შეუტყობინებლობის გამო წარმოშობილი პასუხისმგებლობისაგან.
5.2.4 უზრუნველყოფს გამსესხებლის დაუყოვნებელ ინფორმირებას მის პირად მონაცემებში (სახელი, გვარი, მისამართი ან/და სხვა გამსესხებელთან არსებული ნებისმიერი ინფორმაცია), ასევე მსესხებელი თუ იურიდიული პირია - დამატებით მის დამფუძნებლებთან/ბენეფიციარ მესაკუთრეებთან/ დირექტორებთან / პარტნიორებთან დაკავშირებით ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში;
5.2.5. თანახმაა გირავნობის საგნის უსაფრთხოების, ასევე აუდიტისა და კონტროლინგის მიზნებისათვის, მისი დასწრების გარეშე გაიხსნას და ხელახლა დაილუქოს გამსესხებლის/მოგირავნის მფლობელობაში მის მიერ გადაცემული ძვირფასი ლითონების ქისა(გირავნობის საგანი); ასევე გირავნობის საგნების გადამოწმების მიზნით გამსესხებელმა მოახდინოს ძვირფასი ლითონის ჩაჭრა ან/და ჩაქლიბვა.

6. პრეტენზი(ებ)ის განხილვის პროცედურა
6.1. მსესხებელი უფლებამოსილია მიმართოს გამსესხებელს პრეტენზიით (ნებისმიერი ზეპირი ან წერილობითი განცხადება, რომლითაც მსესხებელი გამოხატავს უკმაყოფილებას, დაუთანხმებლობას), რომლის დაფიქსირების შემთხვევაში გამსესხებელი შესთავაზებს პრეტენზიის დაფიქსირების სტანდარტულ წერილობით ან ელექტრონულ ფორმას და ამ ფორმით პრეტენზიის წარდგენისთანავე ახდენს მისი მიღების დადასტურებას (წერილობით ან ელექტრონულად). მსესხებელს პრეტენზიის ელექტრონული ფორმით დაფიქსირების შესაძლებლობა აქვს გამსესხებლის ელექტრონულ მისამართზე - Complaint@crystal.ge;
6.2. მსესხებლის პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 1 (ერთი) კალენდარული თვე. პრეტენზიას განიხილავს გამსესხებლის ამლ და შესაბამისობის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია პრეტენზიების განხილვის ვადების დაცვასადა პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე. პრეტენზიის განხილვის შედეგები დაუყოვნებლივ ეცნობება მსესხებელს პრეტენზიის დაფიქსირების მეთოდის იდენტური ფორმით.

7. დასკვნითი დებულებები
7.1 მსესხებლის პერსონალური მონაცემების დამუშავება:
7.1.1 მსესხებელი გამოხატავს თანხმობას და ანიჭებს გამსესხებელს უფლებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და პირობებით, დაამუშაოს გამსესხებელთან დაცული ინფორმაცია, ასევე მსესხებლის შესახებ საკრედიტო ბიუროებში (მათ შორი სსს „კრედიტინფო საქართველოს“ (ს/კ 204470740) საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში) დაცული ინფორმაცია გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის. გამსესხებელი შეაგროვებს/დაამუშავებს მსესხებლის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. ინფორმაცია მუშავდება მსესხებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო

საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).
7.1.2. მსესხებელს გაცნობიერებული აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომ მისი (როგორც მონაცემთა სუბიექტის) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.
7.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.
7.3 გამსესხებლის მიერ ხელშეკრულების პირობების ცვლილების ცალმხრივად განხორციელებისას, წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ მოქმედებს თუ ცვლილება ხორციელდება მსესხებლის სასარგებლოდ;
7.4 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
7.5 მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, წინააღმდეგ შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოებში ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილ ორგანოებში. ამასთან, მხარეები ვთანხმდებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამსესხებლის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1 პრიმა ნაწილის შესაბამისად.
7.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მსესხებელს.
7.7. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ სს მისო "კრისტალ"-ში ამა თუ იმ ფორმით თანხის

განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

სს მისო "კრისტალი" არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განხვავებით მასზე ვრცელდება

მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაშითქვენ შესაძლოა ვერ

დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

8. მხარეთა ხელმოწერები

“გამსესხებელი“	**"მსესხებელი/წარმომადგენელი"**
წარმომადგენელი: _____	_____
იდენტიფიკაციის შემსრულებელი: _____	/ სახელი და გვარი სრულად /